

ივერია

№ 18, 1989 წლის 20 დეკემბერი

„მარად და ეველგან, საქართველო, მე ვარ შენთან, მე ვარ შენი თანამშენი ეველგა ხელი“

Handwritten signature and date: 1989



21 ნოემბერს დიდი 10 საათზე ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალების მეორე წლისთავის საზეიმო საზოგადოებრივი შეხვედრა დაიწყო. მასში მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები ეწვევიან მხაწმინდის პანაქონს, სადაც განხილვის საფარვეთში მდებარეობს მამა დავითმა აღასრულა პანაქონი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებმა პატივი მიაგეს ქართველი ხალხის ეროვნული მშენებლის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დიდი მემკვიდრის ხსენებას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო) ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჩვენი დროის ერთ-ერთი ნათელი ადამიანის ანდრეი სახარციის გარდაცვალების გამო და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ქვრივს ელენე ზინერს, ოჯახს და პედაგოგ ხალხს.

თბილისი, 1989 წლის 18 დეკემბერი

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, სკკპ ცკ პენიტენციური მდივანს მ. ვოზაროვს საბჭოთა კავშირის სახალხო დემოკრატია II ყრილობას

28 ნოემბერს სვერდლოვსკში 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯეს დამოუკიდებელ ჟურნალისტ სერგეი კუზნეცოვს, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას. დღეს, როცა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა დემოკრატიზაციის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, აღნიშნული ფაქტიდან ის დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ან ხელისუფლების პოზიციას ვერცხვით ვერცხვით, ან კიდევ სვერდლოვსკის სასამართლოს განჩინებით შეესაბამება გამოცხადებულ დემოკრატიზაციის კურსს.

მეტივე პროტესტს ვაცხადებთ სერგეი კუზნეცოვის გასამართლების გამო და მოვიხივებთ მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა

თბილისი, 1989 წლის 13 დეკემბერი

23 ნოემბერს აქციის შემდეგ შიდა ქარაღში გამწვავებულ ვითარებასთან, ხოლო შექვეყნებული მისი საზოგადოებრივი განცხადებით დაკავშირებითა დაკავშირებითა და მინარჯის, რომლებსაც აქვე გააცხადებთ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

23-24 ნოემბერს შიდა ქარაღში შექმნილი სიტუაციის გამო

დაპყრობილ ეროვნულ ბატონობის მემკვიდრეების მიზნით საბჭოთა რუსეთის იმპერი-ალბინი და მისი ხელმძღვანელები მალევე მიმართავენ ეროვნულ-დემოკრატიული კრიზისისა და დამაბუღობის გამწვავების მთელს. მიმდინარე წელს ამ მთელის გამოყენების პოლიტიკა იქცა საქართველოს ცალკეული რეგიონები, ხოლო ბოლო ხანებში - შიდა ქარაღი.

ფორმული კონფლიქტების მოსამზადებლად და მის განსახორციელებლად მრავალ-ნაირ საშუალებებს მიმართავენ: აგრესიულ ღებინებებს, ერთის მხრივ ქარაღი და მეორეს მხრივ არაქართველი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით ხელმძღვანელებს კმინან კონფლიქტურ სიტუაციებს და ალგვივებენ ანტიქართულ განწყობი-ლებებს, ცდილობენ ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი განმათავისუფლებელი გზიდან აცდინას. ამ მხრივ განსაკუთრებით შემაშფოთებელია 23-24 ნოემბერს ქ. ცხინვალ-თან მომხდარი ინციდენტი, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ხელისუფლების მიერ წინასწარ გამიზნულ პროვოკაციას სისხლისღვრისა და ქართული ეროვნული მოძრაობის, მთელი ქართველი ერის დისკრედიტაციის მიზნით.

აღნიშნული აქციის ჩატარების და მისი მომზადების ინციტორად გამოვიდა ხსენის კომიტეტში შემავალი ზოგიერთი ორგანიზაცია. ამ აქციას, მისი გარდაუვალი უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევა საქართველოში არსებული ოპორტიუნული ძალების დიდი ნაწილი.

მთავრობის როლი თავიდანვე ნათელი იყო: მიტინგი სანქცირებული იყო, მთავრო-ბა მას ფართო პროპაგანდას უწევდა და იგი დიდი რაოდენობით ტრანსპორტით უზრუნ-ველყო. ამას დასტურებს "ეროვნული თავდაცვის შტაბის" სახელით (ზ. გამსახურ-დიას, ი. ბათიაშვილის, ი. წერეთლის და თ. სუმბათაშვილის მიერ) გაკეთებული გან-ცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აქციას "ხელმძღვანელობას უწევდა ეროვნული ხსენის მთავრ კომიტეტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან დაკომპლექტე-ბული ეროვნული თავდაცვის შტაბი და რომლის ჩატარებასაც ხელი შეუწყო საქართვე-ლოს ე.წ. ხელისუფლებამ ზემოთაღნიშნული აქციის ტელევიზიითა და პრესით ფართო რეკლამირებითა და ტრანსპორტის დიდი რაოდენობით უზრუნველყოფით." (სხვათა შო-რის, პრესა აქციის რეკლამირებას დაესაყვარა აგრძელებს. იხ. გაზ. "კომუნისტი", 25 ნოემბერი, 1989 წ. "სალი აზრი იმარჯვებს").

ჩვენის აზრით, ე.წ. მთავრობასთან ამგვარი ერთობლივი მოქმედება სახიფათო და მცდარია, რამეთუ მას საქართველოში ბატონობის 68 წლის მანძილზე ასეთი ნდობ-არაფრით დაუშვებია. აქციას შესაძლოა მოჰყოლოდა ან ეროვნული ღირსების შე-ღახვა (რაც მოხდა კიდეც), ან იმპერიისათვის კიდევ უფრო სასურველი სისხლიანი ტრაგედია, მართლაც, ცხინვალის მისაღვამებთან ქართველებს გზა გადაუღებეს ოსებ-მა და შემდეგ სპეცჯარებმა, რითაც შეიქმნა კრიზისული სიტუაცია.

ფორმირების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს ინსპირატორთა გეგმის საწინააღმდეგო ქმედება, ამ ბოროტების ჩანასახშივე მოს-პობა და არა მისი ხელმძღვანელობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ 23 ნოემბერს დაწყებული აქცია ჯერ არ დამთავრებულა, ჩვენ გამოვთქვამთ პროტესტს და ვაცხადებთ, რომ აქციის უკვე მომხდარი და მო-სალოდნელი მიმდინარე შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე ეკისრებათ მის ორგანიზატორებსა და უპირველეს ყოვლისა - ხელისუფალს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო) თბილისი, 1989 წლის 25 ნოემბერი

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1989 წლის 20 ნოემბერს ავტოკატასტროფაში ტრა-გიკულად დაიღუპა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი და ცხუმის განყოფილების გამგეობის წევრი, იბი-ლისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხუმის ფი-ლიალის მეცნიერ-თანამშრომელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი **სოსო (იოსებ) ალამია** და თანაგრძობას უცხადებთ განსვენე-ბულის ოჯახს.



სოსო ალამიას ხსენებას

მიმე, სასტიკი გამოდგა 1989 წელი. რამდენი უბედურება, რამდენი უსამოგ-ნება დაატება მან თავს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, სრულიად საქართველოს! ჯერ 9 აპრილის უმანკო სისხლი... შემდეგ 15-16 ივლისის ტრაგედია და სულაყილე ბრძოლაგან განწირული ვოვა ვიკუა... შემდეგ 21 წლის ირაკლი ლომიძე... შემდეგ 13 ოქტომბრის თავზარდამცემი ავტოკატასტროფა და მთაწმინდას მიმართული ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა... ახლა კი - სოსო ალამია.

რამდენი ნათელი სული შეერწყა ამ წელიწადში მარადისობას! ჩვენ კი, ამქვე-ყნად დარჩენილებს, წუთისოფლის მიმე ტვირთი და მათ გამო ნაღველი დაგვრჩა; ნაღველი იმის გამო, რომ ენერგიით, სიცოცხლითა და ოცნებებით საგსენი უღროდ წავიდნენ; იმის გამო, რომ საოცრად დააყლნენ ჩვენს საერთო საქმეს; იმის გამო, რომ ვერ მოუწრნენ იმ სანატრელ დღეს... განსაკუთრებით მიმე დარტყმა მიადგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხა-ზეთის განყოფილებას. აქ, ამ უშიშმეს რეგიონში, ორი ბურჯი, ორი წამყვანი ძალა გამოვიდა მას - ვოვა ვიკუა და სოსო ალამია.

15 ივლისს - იმ საბედისწერო დღესაც - გვერდიგვერდ იდგნენ ისინი გაბორო-ტებულ აფხაზთა ბრძოლს პირისპირ. ვოვა ვიკუა სასიცოცხლოდ დაჭრილი დეცა, სოსო კი მაშინ ძლივს გადაურჩა სიცოცხლს, - დაცემული იყო და მკვდარი ეგონათ თავ-დამსხმელებს. ახლა კი ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა, გაუგებრად, უღაგიოდ... მშვილობით, სოსო! შენ ნათელი კაცი იყავი და ასევე პირნათელი მიუხედავ ჩვენს დიდებულ წინაპრებს, ვოვას, მერაბს... მათთან ერთად ილოცე ჩვენთვის, ჩვენი ბედსწერილი სამშობლოსათვის, სოსო!..

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობამ სოსო ალამიას მცირეწლოვან შვი-ლებს დაუნიშნა ყოველთვიური პენსია - 100 მან.

თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო !

იმპერიული ძალების გაგმამომიერმა მუშაობამ და განსაკუთრებით 23-24 ნოემ-ბერს ხელისუფლების მონაწილეობით განხორციელებულმა პროვოკაციამ გამოიწვია მღვთმარტოების უაღრესი დაძაბვა შიდა ქარაღში (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში).

ჩვენი მტერი არის არა ოსი, აფხაზი თუ სხვა, არამედ რუსეთის იმპერია და მისი ხელმძღვანელები საქართველოში. სწორედ იგი აქებებს ჩვენს წინააღმდეგ ოსსაც, აფხაზსაც თუ მთაწარს, რათა განახორციელოს პრინციპი - "დაყავი და იბა-ტონე". იგივე ძალა აქებებს ქართველებსაც სხვა ერთა წინააღმდეგ. ამიტომ ნუ დაგვარგავთ ჩვენს საუკუნეობრივ საუკეთესო თვისებებს, ნუ გადავიტანთ ყურად-ღებას მთავარი მტრისაგან და ნუ წამოვივებთ მის მიერ დაგებული ანკისებ. **კმე-მღმა ჩვენ-ვერ უნდა ჩავვიდეთ ოსში სხვა ერის წარმომადგენლებთან.**

მღვთმარტობა შიდა ქარაღში სასწრაფოდ გამოსასწორებელია. ის გზა, რომელიც ჩვენ, ამ მიმართვის ავტორებმა აღრვევ დავსახეთ, ითვალისწინებდა ინსპირატორთა გეგმის ჩაშლას, ანუ საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე გვიან დასაყვანილებში ჩა-მოსახლებულ ოს ხალხთან ტრადიციულად კეთილდღეობის, მადრამ საბჭოთა რუსეთის მიერ შედგენილად დადგენილ ურთიერთობის აღდგენას პრინციპული და სამართლიანი პო-ზიციის საფუძველზე. მაგრამ ეს გზა ჩიხში შევიდა გარკვეული ძალების პროვო-კაციული მოქმედებების მიზეზით, იმ ძალებისა, რომლებიც საქართველოში დესტა-ბილიზაციის შექმნას და, ფაქტურად ეროვნული მოძრაობის ჩახშობას ცდილობენ. მღვთმარტობის გამოსწორება ჯერ კიდევ არ არის გვიან, თუკი საქართველოში არ-სებული ყველა ეროვნული ძალა წინ აღუდგება პროვოკაციებს და ერთიანი ძალით ეცდება ინსპირატორთა გეგმის ჩაშლას.

არის მეორე საფრთხეც: იმპერიული ძალები ერთის მხრივ ალგვივებენ ერთაშორის შეჯახებას, ხოლო მეორეს მხრივ ამ შეჯახების მეშვეობით ცდილობენ დაკარგვი-ნონ ქართველ ერს პოლიტიკური რეალიზმის გრძნობა და მიადწინონ თბილისში უმარ-დავი მღვთმარტობის შექმნას, რათა შემოიღონ კომუნისტის საათი ან საგანგებო მღვთმარტობა. ეს კი გამოიწვევს ანტიქართული ძალების გააქტიურებას საქართვე-ლოს სხვადასხვა რეგიონში და ეროვნული მოძრაობის ჩახშობას, ან მის დაყვანას მხოლოდ ეთნოკრიზისებზე.

თანამემამულენო, არ წამოვივოთ პროვოკაციაზე! ილია ჭავჭავაძის საზოგადოება საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო) თბილისი, 1989 წლის 27 ნოემბერი

